1890 წელსა, № 22 30 ნოემბრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი

1883-1890

«მწყემსი» გამოდის თთვეში ორჯერ, ყოველი თთვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 5 მან. | 12 თთვით . . . | 6 მან. |
| 6 — . . . | 3 — | 6 — . . . | 4 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამადრესით: въ Кутаисъ, Въ контору редакціи „Мцкемси“ (Пастырь).

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ გარკვევით და კასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნონ.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## სამღვდელოების დეპუტატების კრება ქალაქს ქუთაისში

(დასასრული*).

სასწავლებლის სამმართველოსაგან იყო გარდმოცემული ორი მასწავლებლის თხოვნა, რომელნიც ითხოვდენ ერთ მესამედს ჯამაგირისას. ერთი მესამედი ჯამაგირისა საჩუქრად ეძლევათ მასწავლებლებს დასაბინავებლად, მაგრამ მათ, რომელნიც სამღვდელოების ხარჯით პარალელურ განყოფილებაში მსახურებენ, ამ ფულს ხაზინა არ აძლევს. სამღვდელოებამ ამ მასწავლებლებს ფულის უქონებლობისა გამო უარი უთხრა, მიილო რა სახეში, რომ იგინი, კარგა ხანია, დაბინავებულნი არიან. ამ გარდაწყვეტილებაზედ მათ უთანხმოება გამოუცხადებიათ და სამმართველოსათვის უთხოვნიათ, რომ მიეცეს მათ ეს ფულები.

*) იხ. «მწყემსი»-ს № 21

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის არც ერთ მასწავლებელს არ მართებს სამდურავი სამღვდელოებისა, რადგან იგინი 1874 წლიდგან ჯამაგირზე მეტს ოთხმოც მანეთს იღებენ ყოველ წელს სამღვდელოების ფულებიდან, რომელიც მცირე ფულს არ შეადგენს. მეორე ამ მთხოვნელთაგანი ჯამაგირს გარდა სხვა ფულებსაც იღებს: სამწერლოს და წიგნთ-საცავისათვის. ამ წელში კიდევ მეტი ჯამაგირის დანიშვნას თხოულობდნენ მისთვის, რადგან დიდი შრომა მოსდისო. ჩვენ ეს არ გვჯერა. დიდი შრომა რომ ადვეს, იგი თავს დაანებებდა ამდენი თანამდებობის ასრულებას. გასაკვირველია, რომ ერთ მასწავლებელს ამ რიცხვებენ და ყველაფერს მას ანდობენ ასასრულებლად და სხვებს კი, რომელნიც უფრო თავისუფალნი არიან, საქმეს არ აძლევენ.

დიდი ბაასი გამოიწვია აგრეთვე დეპუტატებში საეკკლესიო ნივთების საწყობის დაარსების შესახებ აღძრულმა კითხვამ. ორმა-სამმა დეპუტატმა ურჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებას საეკკლესიო ნივთების საწყობის დაარსება. შემდეგ სხვა-და-სხვა მოფიქრებისა დეპუტატებმა ერთხმათ გადასწყვიტეს: „ეთხოვოს მისს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომ შეძლებული ეკკლესიებიდამ იქმნეს სესხებითი სახით გამოტანილი ფულები და ამ ფულებით იქმნეს დაარსებული საეკკლესიო ნივთების საწყობი ქუთაისში და, შემდეგ ნივთების გასყიდვისა, ეკკლესიებს დაებრუნოს თავისი ფულები»...

ამ საეკკლესიო ნივთების საწყობის დაარსების შესახებ კითხვა აღძრა პირველად «მწყემსი»-ს რედაქტორმა დეკ. დ. ღამბაშიძემ, რომელმანც ამ საგნის გამო რამდენიმე სტატია კიდეც დაბეჭდა «მწყემს»-ში 1885 წელში და შემდეგშიაც. აზრი, რომელიც ღამბაშიძემ აღძრა, ძლიერ მოსაწონი და სასარგებლო იყო, მაგრამ თანამგრძნობნი მან იმ დროს ვერ იშოვა ჩვენს სამღვდელოებაში. ბოლოს თვითონ მან მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და მართლადაც ყველას დაუმტკიცა, რომ ამისთანა საწყობის დაარსება ადვილი საქმეა და დიდი სასარგებლოც. ამ საწყობში დღეს უფრო ნაკლებ ფასად მიიღებენ მსურველნი ყველა საეკკლესიო ნივთებს, ვინემ ვაჭრებისაგან.

ზოგიერთებს, სამწუხაროდ, ჰგონიათ, რომ ყველაფერი საქმე ფულებით გაკეთდება და ის არ იციან, რომ მარტო ფულებით საქმე არ კეთდება. იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების განჩინება ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, სრულებით უკანონო არის და არც ვფიქრობთ, რომ იგი დამტკიცდეს. რა უფლება აქვს სამღვდელოებას შეძლებული ეკკლესიებიდამ ფულები გამოიტანოს ნივთების სასყიდლად? ან რა საჭიროა ფულები? განა მღვდელ-მთავრებს არ ენდობიან რუსეთის ვაჭრები, რომ მოთხოვნილი ნივთები ნისიათ მათ გამოუგზავნონ? დაარსეთ, ბატონებო, საეკკლესიო ნივთების საწყობები და მე, ამ სტრიქონის დამწერი, გამოგიწერთ, ვისგანაც გნებავსთ, თუ გინდ 10000 მანეთის სხვა-და-სხვა ნივთს, ოღონდ კი იმედი იყოს, რომ ნივთების ფასი არ დაეკარგება პატრონებს. არა; ფულების უქონლობაში არ არის დაბრკოლება. პირველი დაბრკოლება ყველა ამისთანა საქმეში მოგვდის ჩვენ ჩვენის მოუფიქრებლობისა და უვიცობისაგან. უჯამაგიროთ ხელი არ გვინდა გავანძრიოთ და ყოველ უბრალო საქმეში კი ჯამაგირებს არავინ იძლევა!

ორიოდე სიტყვაც დეპუტატების შესახებ. ჩვენ, ყოველთვის ვესწრებით ხოლმე სამღვდელოების კრებას. ვიცით გამოცდილებით, რომ ყოველთვის კრებაზედ მსჯელობა და საზოგადოდ კრების საქმე ძლიერ ბრკოლდება ხამი დეპუტატისაგან. ზოგიერთ დეპუტატებს ისე კარგათ აქვსთ შესწავლილი სასწავლებლის წესდებანი და კრების შესახებ სინოდის დადგენილობანი, რომ სწორეთ სასიამოვნო არის მათი მსჯელობა. ამისთანა დეპუტატები არასოდეს არ აღძრავენ უთავბოლო და უსარგებლო კითხვებს და არ მოაცდენენ ხოლმე დეპუტატებს. ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, რომ სემინარიაში სწავლა დასრულებული დეპუტატნი უფრო მომეტებულ გამჭრიახობას გამოიჩენდენ. არასოდეს არ ყოფილა აქამომდე კრებაზე იმოდენი დეპუტატი, სემინარიაში სწავლა დამთავრებულნი, რამდენიც ამ უკანასკნელ ყრილობაზედ დაესწრო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრს მათგანს ჯერჯერობით სრულებით არ გადუხედავს სასწავლებლის წესდება და სამღვდელოების კრებათა შესახები დადგენილობანი და ამიტომ ხშირად ისეთ საგნებზე დაიწყებენ ბაასს და ისეთს ალიაქოთს ასტეხენ, რომ მოსაწონი არ არის. ვისაც თავის გამოჩენა სურს «მჭევრმეტყველობით» და კანონების ცოდნით, მან გულდასმით უნდა წაიკითხოს უწმიდესი სინოდის ყველა დადგენილობანი სამღვდელოების კრებათა შესახებ და მაშინ სასიამოვნო და საქმისათვის სასარგებლო იქნება მათი მსჯელობა.

აქვე არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ კრების თავს-მდომარეზე და საქმის მწარმოებელზედ. სამღვდელოების კრებაზედ თავს-მჯდომარეს დიდი გამჭრიახობა მართებს და უნდა ვსთქვათ, რომ ამ პირველ შემთხვევაში საქებურად აღასრულა ეს მოვალეობა დეკანოზმა გაბრიელ ცაგარეიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერში ეტყობოდა, რომ იგი თანაუგრძნობს საზოგადო საქმეს და გულით და სულით სურს, რომ აღძრული კითხვა რიგიანად დააბოლაოს. იმედი გვაქვს, რომ შემდეგშიაც ასე ერთგულად იშრომებს იგი სამღვდელოების დეპუტატებთან ერთად საზოგადოდ ეპარქიის და სასწავლებლის საქმეზედ. სამღვდელოების კრება ვალდებულია თავს-მჯდომარეს რიგიანი საქმის მწარმოებელი აღურჩიოს. საკვირველია, რომ ამ თანამდებობას ისეთი პირები იღებენ ხოლმე თავის თავზე, რომელთაც არასფერი არ გაეგებათ საქმის წარმოებისა. ჟურნალების რიგიანად შედგენას და სამღვდელოების მსჯელობის და გარდაწყვეტილებების დაწერას კარგი გამოცდილება უნდა. ჩვენ საქმის მწარმოებლებს კი ჰგონიათ, რომ მათი მოვალეობა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ დაწერილი ჟურნალი გადაწერონ და სხვა არაფერი. ამისათვის თავს-მჯდომარეს ერთი ორი შრომა ძოხდის. ჟურნალებს ის ადგენს და საქმის მწარმოებელი კი თავის ნამსახურებითი სიაში ერთ პარაგრაფს იმატებს. ამისთანა საქმის მწარმოებლის ბრალია ის, რომ ერთს მოუფიქრებლად დაწერილ ჟურნალს ისეთი მნიშვნელობა მისცეს, რომელიც სამღვდელოების დეპუტატებს სრულებით სახეშიც არ ჰქონიათ...

## მწარე ფიქრები.

(ბ. ილია ხონელის სტატიის გამო, რომელიც «Нов. Обоз.»-ის 2389 №-ში იყო დაბეჭდილი).

რამდენი კაცი შენატრის დღეს ამერიკის და ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოების ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას. რამდენი კაცი მოუთმენლად მოელის, რომ ჩვენშიაც მიენიჭოს ასეთი თავისუფლება ბეჭდვითი სიტყვას. ერთის მხრით რომ დააკვირდეთ საქმეს, მართლა იფიქრებთ, რომ სწორეთ სასარგებლო და სანატრელია, რათა ბეჭდვითი სიტყვას ჩვენშიაც თავისუფლება მიენიჭოს. მაშინ გაბედულათ ამხილებთ ყველას ცუდი საქციელისათვის, წინ დაუდგებით მჩაგვრელთა, მტარვალთა, სინიდისზედ ხელაღებულთა და არ მისცემთ თავისუფლებას, რომ მათ ფეხით ჰქელონ სიმართლე და უსამართლოებით იპარპაშონ. რაღა სჯობს ამას! მაგრამ სად შეიძლება ისარგებლონ ამისთანა თავისუფლებით მწერლებმა? იქ, სადაც მხოლოდ სიმართლით და პატიოსნებით არიან აღჭურვილნი მწერლები; იქ, სადაც კაცის შრომას და ღვაწლს აფასებენ, იქ სადაც მწერლებში წვრიმალ პირად ანგარიშებს ადგილი არა აქვს, იქ, სადაც სიმართლეზედ მსჯელობის დროს დავიწყებულია მწერლისგან ძმობა, ნათესაობა, მამაშვილობა, მეგობრობა, ნათლიმამობა, ნაცნობობა, მტრობა, შურიანობა და სხვა ათას ნაირი სამარცხვინო წვრიმალი ანგარიშები. ჩვენში, საუბედუროთ, როგორ მწერლებს, ანუ უკეთ ვსთქვათ, როგორ მჯღაბნელებს ვხედავთ უმეტესად? იმისთანაებს, რომლების მსგავსი უცხოეთში არც კი მოესიზმრებათ. მაგალითად ვსთქვათ, რომ რომელიმე მწერლის მამა, ანუ ძმა, ანუ რომელიმე ნათესავი საძაგელი და სამარცხვინო საქციელისა გამო ადგილიდამ დაითხოვეს, ანუ დათხოვნას და გამორიცხვას ექადებიან. თუ ამისთანა გასვრილი კაცის ვინმე ნათესავი რომელიმე გაზეთში თანამშრომლობს, მაშინ მშვიდობით! იმას ხომ არ მიაქცევენ ყურადღებას ზოგიერთი გროშების ანგარიშით რედაქციებში შემძვრალნი მწერალნი, რომ მათი მამა, ანუ ნათესავი დათხოვნილია სამსახურიდგან, ან ითხოვენ მათი საძაგელი ყოფაქცევისა და უკანონო მოქმედებისათვის. როგორ დააჯერებთ ამ ბატონებს, რომ იგინი სწორეთ ღირსი არიან სასჯელისა? გამოჯავრებული მწერალი იღებს კალამს ხელში, მოაღებს პირს და ლანძღვის მეტს მათ ნაწერში ვერას ნახავ. მათ წინაშე დამნაშავენი არიან სასამართლოების მწერლები, მდივნები, სტოლის უფროსები, მაზრის უმფროსები, ბლაღოჩინები, გუბერნატორები, მღვდელ-მთავრები და

ეროვნული

სასწავლებლის ზედამხედველებიც. ოღონდ კი მათი გასვრილი მამის, ძმის, ანუ ნათესავის თავის ადგილზედ დაბრუნებას დაჰპირდით და ისინი მზათ არიან ფიცით უარჰყონ და შეაჩვენონ სამშობლო ქვეყანა, ხალხოსნობა, სარწმუნოება და თავის მოყვარება. ამისთანა მწერლებისათვის იუდათ და ჯაშუშათ გახდომაც ძლიერ ადვილი საქმეა. მათთვის ერთ კიტრათ ღირს სიმართლე და პატიოსნება. ორიოდე გროშისთვის, ვინც გინდათ, იმას გალანძღავენ და ვინც გინდათ, ცამდი აიყვანენ ქებით. სასურველია ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ამისთანა მწერლების ხელში? სრულებით არა.

ეს მწარე ფიქრები გამოგვათქმევინა ჩვენ «Новое Обоз.»-ის მოწინავე სტატიამ შემდეგი სათაურით «სასულიერო მახარებელი საექსარხოსოისა». ეს სტატია დაწერილია ბ. ილია ხონელისაგან.

ბ. ილია ხონელი მოგვითხრობს, რომ მარტიდგან თბილისში სემინარიის რექტორის რედაქტორობით და დეკანოზის ხელიძის თანაშემწეობით გამოვა ეპარქიალური გამოცემა, რომელსაც სახელად ერქმევა „სასულიერო მახარებელი საექსარხოსოისა». შემდეგ წინასწარმეტყველობს, რომ ეს გამოცემა ყოველი ტკივილის მოსარჩენი მალამო იქმნება ჩვენი სამღვდელოების და საზოგადოებისათვის და ყველას იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ეს გამოცემა დიდ სარგებლობას მოუტანს სამღვდელოებასაო. შემდეგ მოსდგება და შეაჩვენებს მესამოცე წლებში არსებულ «სასულიერო მახარებელს», რომელიც იცემოდა დეკ. გ. ლ. ხელიძისაგან, და ეხლანდელ «მწყემსი»-ს გამოცემას. ერთი ჰკითხეთ ბ. ილია ხონელს: მართალია, ალექსანდრე მაკედონელი დიდი კაცი იყო, მაგრამ ამისთვის რათ უნდა დაამტვრიონ სკამები! მომავალი «სასულიერო მახარებელი» რომ კარგი გამოცემა იქმნეს, ამისთვის რაღ უნდა აძაგებდეთ წინანდელ გამოცემებს? რომელმა პატიოსანმა კაცმა გალანძლა მოღვაწე კაცი ჯერეთ დაუბადებელ კაცთან შედარებით?

«საქართველოს სასულიერო მახარობელი» ძლიერ მორიდებული იყო საზოგადო კითხვების შეხებო, მაგრამ არ ცდილობდა თავის გამოცემით კეთილ-დღეობა და მდიდრული ცხოვრება დაემკვიდრებიაო. «მწყემსი»-ს გამოცემაზე კი არ შეიძლება ესა სთქვას კაცმაო». შემდეგ ამისთანა ცილის წამებათა და ინსინუაციათა ბ. ილია ხონელი სწერს: „მწყემსი“ არასფერს არ ატყობინებდა საზოგადოებას ერთად ერთ სასულიერო სემინარიაზედო; არასფერს არ აცნობებდა მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებაზედო; არაფერს არ სწერდა დაარას აცნობებდა სემინარიასთან «ანდრია პირველ წოდებულის სახელობაზედ დაარსებულ ძმობაზედო და საქალებო ეპარქიალურ სასწავლებელზედო. ჩვენ ზემოთ ვსთქვით, რომ ზოგიერთი ჩვენი მწერლები ისე დაბრმავებულნი არიან რაღაცა პირადული ანგარიშებით, რომ დღე ღამეთ ეჩვენებათ და ღამე დღეთ. აიღეთ «მწყემსი»-ს ნომრები დღიდგან მისი დაარსებისა ამა მიმდინარე წლამდე და გადაათვალიერეთ. რომელ გაზეთში იბეჭდებოდა სასწავლებლებზე და ზემოდ ჩამოთვლილ საზოგადოებაებზე იმოდენი, რამოდენიც იბეჭდებოდა «მწყემს»-ში? რომელი გაზეთი ბეჭდავდა მუქთად ანდრია მოციქულის სახელობაზედ დაარსებული ძმობის ვრცელ ანგარიშებს, თუ არა «მწყემსი»? რომელი გაზეთი ეწეოდა ფულების შეკრებაში ღარიბი სემინარიელებისათვის, თუ არა «მწემსი»? რომელმა გაზეთმა დაბეჭდა მუქთად ათასობით და ორი ათასობით კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების სხვა-და-სხვა მოწოდებანი ქართულს და რუსულ ენაზე, თუ არა «მწყემსმა»? თქვენ შეგიძლიათ, ბ. ილია ხონელო, მოატყუოთ «Нов. Обоз.»-ს მკითხველები სიცრუის წერით, მაგრამ რა პასუხი გინდათ გასცეთ სამღვდელოებას და ქართველ საზოგადოებას ამისთანა აშკარა ბეზღობისა და ცილის წამებისათვის, რომელსაც თქვენ სდებთ «მწყემსს»?

ილია ხონელი დამნაშავედ რაცხს «მწყემსს» იმაში, რომ ოფიციალური ცნობები სულ არ მოიძებნებოდა „მწყემსშიო“. ამ სიტყვებით ილია ხონელი, როგორც მკითხველიც მიხვდება, ერთობ დიდ რეგვენობას იჩენს. «მწყემსს» მზათ ჰქონდა ოფიცია-

ლური განყოფილება და არავისთვის არასოდეს უარი არ უთქვამს ამ განყოფილებაში ოფიციალურ ცნობათა დაბეჭდვაზე. «მწყემსი»-ს რედაქციას შეეძლო ძალა დაერთო სასულიერო მართებლობისა და ეპისკოპოსებისათვის, გინდათ თუ არა, შეთხზეთ ოფიციალური განკარგულებანი და გადმოგვეცით დასაბეჭდათო?! მაგრამ ჩვენ დამტკიცებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იშვიათად გამოდიოდა ნომერი, რომელშიაც ოფიციალური ცნობები არ ყოფილიყოს.

ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ბ. ი. ხონელმა თვალები დაიბრმაოს და არასფერი წაიკითხოს «მწყემსი»-ს გამოცემაში? ნუ თუ ვალდებული იყო «მწყემსი»-ს რედაქტორი, რომ ბ. ილია ხონელისათვის «მწყემსი» მიეტანა და ჩხირით ეჩვენებია, თუ როდეს და რას სწერდა იგი საზოგადოთ სასწავლებლებზედ, სემინარიაზედ, სხვა-და-სხვა საზოგადოებათა და სამღვდელოებაზე? ამას წინედაც წამოროშა ამ ბატონმა პუბლიცისტმა, რომ ვითომც არასფერი დაწერილიყოს «მწყემს»-ში უკანასკნელ დრომდის ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზედ. ჩვენ მოვაგონეთ ილია ხონელს ანდაზა: „ყრუსთვინ ორჯერ არ რეკენ». ის მაინც თავისას იმეორებს ერთსა და იმავე საგანზე და არა თუ ერთჯერ, არამედ ორჯერ-სამჯერ და ოთხჯერაც მთვრალ კაცსავით. ერთის მხრით რომა სთქვას კაცმა, ნიადაგ წერა ერთსა და იმავე საგანზე ბ. ილია ხონელს მოსდის შისდა უნებურად. საქმის გარემოება არ გაეგება; საქმეზე მართლის თქმა ერთ კიტრათ მიაჩნია. საჭირო სათვალავში ბევრი სტრიქონები აღმოუჩნდეს და მარტო სიმართლეზედ რომ წეროს, რაღა დასწეროს?!

დასასრულ აი რას მოვახსენებთ ბ. ილია ხონელს: ყოველს კაცს ნება აქვს, რაც უნდა ის იჩეროჩეტოს და ჯლაბნოს, მაგრამ უმართლოთ, უსაფუძვლოთ და უაჯაოთ არავის პიროვნებას არ უნდა შეეხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული შეიქმნებიან ამისთანა მოლაქლაქე მწერლებს ისე მოეპყრან, როგორც ცილის მწამებელთა. რაიცა შეეხება ილია ხონელის მიდგომილებითი წერას, პირადი ანგარიშებით გამოწვეულს, ჯამბაზობას და ბუქნით ყირამალაზედ გადასვლას, ეს ყველა ჩვენთვის დიდად სამწუხაროა, მაგრამ ეხლანდელ დროში ყველას უნდა მოელოდეს კაცი.

გაზეთი „ივერია“ მომავალი ოფიციალური „სასულიერო მოამბის“ გამოცემის გამო სწერს: „როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ტფილისში არსდება სასულიერო გაზეთი—«სასულიერო მოამბე». ეს გაზეთი გამოსვლას დაიწყებს მომავალი წლის მარტის თვეიდგან და, რაღა თქმა უნდა, სასურველი სტუმარი იქმნება ყველა ჩვენის ქვეყნის კეთილ-დღეობის მოსურნესი და მონატრისათვის. აქამდე სულ ორად-ორი სასულიერო გაზეთი გვქონდა: «სასულიერო მახარობელი», რომელიც დეკანოზ ხელიძის რედაქტორობით და გამომცემლობით იბეჭდებოდა მესამოცე წლებში, და გაზ. «მწყემსი», რომლის რედაქტორ-გამომცემლადაც დეკანოზი ღამბაშიძეა. პირველს გაზეთზე ეხლა მაგდენი არა ითქმის-რა, ეს გაზეთი თუ სამაგალითოდ არ ჩაითვლება, ის მაინც ითქმის, რომ აწ არსებულს «მწყემსზედ» გაცილებით უკეთესი იყო და სხვ.».. რით იყო გაცილებით უკეთესი «მახარობელი» «მწყემსზედ»? მით, რომ «ივერიის» მწერლებზე არასფერს არ სწერდა და არასოდეს არ ამხილებდა მათ მათი ზოგიერთი უსუსური და უხამსი მსჯელობისათვის. შემდეგ «ივერია»-ს მოჰყავს ბ. ილია ხონელის უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ და უადგილოდ წამოროშილი სიტყვები „მწყემსი“-ს შესახებ. კარგია! ერთმა გაზეთმა წამოისროლა სისულელე და ეს სისულელე მეორე გაზეთს დამამტკიცებელ საბუთად მოჰყავს!!

«მწყემსი» დღიურს ვარამზედ არასა სწერდაო, ბრძანებს «ივერია». ეს გაზეთი რომელიღა დღიურ ვარამზედ სწერდა? გადახედეთ «ივერიის» მეთაური წერილები და დარწმუნდებით, რომ ამ წერილებში უმეტესად გლასტონზედ, ბისმარკზედ და მის ძაღლებზედაც იყო ხოლმე მსჯელობა. ეს არის საქართველოს დღიური ვარამი! აბა დაგვისახელეთ, თუ რომელ დღიურ ვარამზე არ სწერდა „მწყემსი?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკაცრავად, ეხლა კი მივხვდი. ბ. კალისტრატე ჩიკვაიძეზე რომ არასფერი იწერებოდა «მწყემსში», ეგებ იმიტომ ილანძღებით? მართალია, მარტო თქვენ სწვრდით მაგ ვარამზე, მაგრამ დაფნის გვირგვინიც ხომ მარტო თქვენ გერგოთ გამარჯვებისათვის და რაღა გნებავსთ?!..

ბოლოს «ივერია» შემდეგ კითხვას იძლევა: „საყურადღებოა, ეხლა რაღას იტყვის ბ—ნი ღამბაშიძე, რედაქტორი გაზ. «მწყემსი»-სა, და იმისი რედაქცია?» რას იტყვის? იმას იტყვის, რაც ზევით ითქვა ილია ხონელზედ. «იქმნება აქაც, განაგრძობს „ივერია“, მოსყიდულნი იყვნენ, ან შენთქმულნი იმის წინააღმდეგ?!» ეს რაღა ბოდვა არის, არ ვიცით. როდის, ან სად ითქვა, რომ „მწყემსი“-ს წინააღმდეგ მოსყიდულნი, ან შენთქმულნი არიანო? ცრუპენტელაობა შეიძლება, მაგრამ ასე უზომოდ?... ბატონებო, რაღომ პირდაპირ კითხვაზედ არ იძლევით პასუხს, თუ იოტისოდენი სიმართლე გაქვსთ? თუ სათქმელი არა გაქვსთ-რა, უმჯობესი არ არის, ენა ჩაიკმიდოთ? თუ იოტისოდენა სიმართლე მიუძღვის „ივერიას“ „მწყემსი“-ს შესახებ წერაში, გადაბეჭდოს მან «მწყემსი»-ს პასუხი თავის გაზეთში და «მწყემსიც» სამაგიეროდ ასე მოიქცევა. მაშინ მკითხველები თვითონ მიხვდებიან მტყუანსა და მართალს.

# ფილიმონ ქორიძის და საეკკლესიო გალობის შესახებ.

ამ დღეებში ცნობილი მომღერალი ფილიმონ ქორიძე მოშორდა იმერეთის მხარეს, დადგა რა მან უკანასკნელი, გამოსათხოვარი კონცერტი ქუთაისში. ეს განშორება, ვგონებთ, სამუდამოა, და, მეტი არ იქმნება, ორიოდე სიტყვით თვალი გადავავლოთ მისს მოღვაწეობას ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში. ქორიძისთანა კაცები ისეთი იშვიათი მოვლინებაა ჯერ ჩვენში, რომ შეუნიშნავად არ უნდა დარჩეს მისი ამაგი, მცირეც რომ იყოს იგი.

ბატ. ქორიძე ამ ბოლო წლებში ქუთაისს სცხოვრებდა. ხუთჯერ-ექვს-ჯერ თუ გაუვლია ზაფხულობით რამდენიმე დღით სადმე იმერეთის მხრის დაბებისკენ კონცერტების მისაცემად და ადგილობრივის ჰანგების მოსასმენად.

დანარჩენ დროს ქორიძე სულ ქუთაისს სცხოვრებდა, და, ვინც ყურს არ გაისქელებს და თვალს არ დაიბრმავებს, იგი უთუოდ შეამჩნევს, რა კვალი დააჩინა მან ჩვენის ეროვნული ჰანგების შემუშავებას, მათ გახალხოსნებას და ევროპიული მუსიკის გემოვნების გაღებას. მაგრამ ჩვენს გულქვაობასთან ბრძოლას ყოველივე სჯობია. ამისთანებზე უთქვამს დიდებულ პოეტს:

«ჩანს, რომ ბუნების კანონი არის—
«სისხლი იმღვრიონ, სისხლი დასთხიონ,
«ჩვენგან კი უნდა სანაცვლოთ ამის
«უმადურობა ჯილდოდ მიიღონ.

მიუხედავად ამ უმადურ-უგვერდულობისა ბ. ქორიძეს გულსმოდგინება არ დაუკლია მისგან ნატვირთ საქმისათვის, უტაამ-ტაშოდ და უბუკ-ნაღაროთ. მასს მუდამ ჰყავდა მოწაფეები და ხორო ქალისა, თუ კაცისა, წვრთნიდა მათ და ასწავლიდა, უფრო ხშირად უსასყიდლოდ. ამასობაში ქორიძე სილარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრებდა, კაცს ეგებ თავი გადაგედოს საზოგადო სარბიელზე მუშაობისათვის, მაგრამ ამაში რა დაშნაშავეა წვრილი ცოლ-შვილი, რომელთაც ესაჭიროებათ პური არსობისა. ამ პურს ჩვენში ძნელად თუ რომელიმე საზოგადო სარბიელი იძლევა. ამიტომაც გახდა ულაჯობის მსხვერპლად ქორიძის მეუღლე. მან ველარ აიტანა თავდაუზოგველი შრომა ლუკმა პურისათვის, აქეთ-იქ თ ტალახსიცივეში წოწიალი ხუთგროშიან გაკვეთილებზე; შეხვდა მოსწრაფებული ჭლექი და გადიტანა კიდეც. მისს დასაფლავებაზე, როცა შეგროვილი იყო მთელი ქუთაისის მაღალი საზოგადოება, მოძაგონდა აკაკის

მწარე სიტყვები: ჩვენში ეს იციან—სიცოცხლეში შენ გატირებენ, მოჰკვდები და თვითონ გიტირებენო. იმ ქალის სიკვდილი არ იყო მარტო კერძო დასაკლისი. იგი იყო თავისის ქმრის ბუნება-ზიარი და ხელოვანი პიანინოს დამკვრელი. ერთის მხრით მისის წყალობითაც არის, რომ ყოველივე ქორიძისაგან ნოტებზე გადაღებული საგალობლები არის ფრიად დამუშავებული, დაწმენდილი და მრავალ-გვარად აწონილ-დაწონილი. ეს ერთი.

მეორე დამსახურება ფ. ქორიძისა მდგომარეობს იმაში, რომ მას ხანდაზმით შეუდგენია ვრცელი ნოტების სახელმძღვანელო, ანუ «ჭრელის ნუსხა», როგორც ძველად ეტყოდენ. ერთი ელემენტარული, მოკლე სახელმძღვანელო ხომ ახლა ხან დაიბეჭდა. ესეც მეორე, ვრცელი. მაგრამ როდის დაინახავს მზის სინათლეს ეს ახალი შრომა, ეს ძნელი გამოსაცნობია, რა კი ვიცით ქორიძის ხელმოკლობის ამბავი.

მესამე დამსახურება და, ვგონებ ყველაზე უფრო საგანძური, ბ. ქორიძისა, ჩვენ გვგონია, არის საეკკლესიო გალობის დანოტვა. იყო დრო და არა შორს, როცა საზოგადოებაში დადიოდა ჭორი, ვითომც ქართული გალობა-სიმღერა ნოტების წესებს არ ემორჩილება და თუ გვინდა იგი ქაღალდზე გადვიღოთ, თვის უნდა სხვა რამ ჩხირ-ხაზები გამოვიგონოთ. ქორიძეს სასაცილოდ არ ყოფნიდა ეს ჩხირები და მალე საქმითაც დაამტკიცა თბილისშივე, რომ ეს არის უგუნურობის და მეშურნეობის ნაყოფი. ქართველი საზოგადოების ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა თბილისში. მოინდომეს კიდეც «კარბელაანთ» კილოს წირვის წესის მთლად გადაღება; «ქალმებს ჩავიცვამთ და ისე ჩამოვითხოვთ ამ საქმის ფულსო», მაგრამ რა?—დაჰბერა სხვა ნიავმა, გაჩნდა თვითონ მხურვალებში ხრიკები და ოინები, რომელნიც იმერეთს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე აღმოსავლეთის ქართველებს... ამგვარად საქმე ეშმაკის ჯორზე შეჰკიდეს და ცხრა მთა გადაარბენიეს....

სრულიადაც აქ არ მოქცეულა იმერეთის სამღვდელოება. იგი, როგორც ბევრ სხვა საქველო და საშვილიშვილო შემმართებლობაში, აქაურ თავგამოდებით შეუდგა საქმეს და თვისდა სასიქადულოდ რაც იკისრა, დაამთავრა კიდეც. მოიწვიეს ქორიძე, მიუჩინეს მას სამი საუკეთესო მგალობელთაგანნი და ორის წლის მუშაობამ საქმე დამში მოიყვანა. საბედოთ აქ არ გამოჩენილან ის ცრუ «კომპოზიტორები», რომელთაც აღმოსავლეთის საქართველოში საქმის ჩაფუშვას ხელი მოუმართეს. იმერეთის სამღვდელოებამ პირდაპირ «პური მეპურეს გამოაცხობია და ერთიც მისთვის არ დაუშურებია». ვისაც არ უყურებია თუ, რა «ასჯერ გაზომვით და ერთხელ გამოჭრით» კეთდებოდა საქმე; როგორ ერთის გუნდის დახმარებით გადაღებულს შემდეგში სხვა გუნდი ამოწმებდა... ვისაც ყოველივე ეს არ უნახავს, იგი ვერ დარწმუნდება, რა სინამდვილით არის დანოტვილი ქორიძისაგან საეკკლესიო გალობა იმერულის კილოსი.

რის იმერული კილო! ეს არის ნამდვილი კილო მთელის საქართველოს ეკკლესიის გალობისა. ისტორიულათ გაგვიგია, გარკვეულის სახით მომდინარეობს თვით დავით აღმაშენებლის დროიდგან. საეკკლესიო გალობის დედა-ბუდე ყოფილა გელათის მონასტერი. აქ ყოფილა უმთავრესი «სასწავლო» (სკოლა) და აქეთგან ეფინებოდა თურმე გალობა არა თუ მთელს იმერეთის მხარეს, არამედ გადაღმა საქართველოსაც. ესრედ წოდებული «კარბელაანთ კილო» სხვა არა არის რა ძირითად, თუ არ იგივე გელათის კილო. სხვაობა «იმერულსა» და «კარბელაანთ» კილოს შუა ასეთია: პირველი არის გავარჯიშებული, გაბაღლებული, შემუშავებული; მეორეა ელემენტარული, კვირტში გახვეული კუკური, უნდილოდ დარჩენილი, გახევებული. უფრო ნივთეულად რომ წარმოვიდგინოთ—კარბელაანთ კილო წარმოგვიდგენს მახვილად კუთხეს, მსხვრეულ ხაზს; იმერული კილო კი—დამრუდულ კუთხეს, ტალღურ აწევ-დაწევას; კარბელაანთ კილო არის ცალფეთ საგალობელი, საჩიზი-

ნო, სამოსწავლო, პირველ დაწყებითი, იმერული კილო კი—მოწიფული, გაცხოველებული, გუნდათ საგალობელი, სადას-დასო.

სხვაობა რაშიაც უნდა იყოს, ძირითად ორივე კილო ერთია, წარმომდინარებაც ერთი აქვთ, მხოლოდ თვითეული მათგანი შეესაბამება ამერთ, თუ იმერთ ბუნებას. ამისი მაგალითი შეხედულება გაგვიგონია თვით მ. კარბელაშვილისაგან, რომელიც წუხდა: ჩემი კილო თან წამყვება საფლავში, როგორც ვხედავთ. ვგონებ სანახევროდ ასრულდა კიდეც ეს მისი წინასწარმეტყველება, სამწუხაროდ, თორემ ის რომ ცოცხალი იყოს, უფრო ადვილად დამტკიცდებოდა ზემორე თქმული ჩვენი შენიშვნა.

შესანიშნავია ის გარემოება, რომ, როდესაც შესამოწმებლად მოჰყავდათ მგალობლები იმერეთის სხვა და სხვა კუთხითგან, აღმოჩნდა, რომ ყველანი ისე თანახმად გალობდენ, თითქო ერთის კაცისაგან უსწავლიათო. დუმბაძე (გურიითგან), ჭალაგანიძე (სამეგრელოთგან), კანდელაკი (თვით სოფელ გელათითგან), მეძმარიაშვილი (ქვემო იმერეთითგან), იოსებ წერეთელი (ზემო იმერეთითგან), ვ. ქუთათელაძე (ხონითგან)—ყველანი ერთ კილოზე გალობენ. ესენი იყვნენ ქორიძისაგან გადაღებულ საგალობლების შემმოწმებელნი. ხოლო გადმღებინებლები იყვნენ კიდევ სხვები და ისინიც ამათ კილოზე გალობენ.

ნოტებზე ქორიძემ კი გადაიღო გალობა, მაგრამ მოველსჭამი და აწვე არის, რომ ეკკლესიური გალობა სრულად აქარდება ჩვენში, თუ მეტი პატივდება არ მიეპყრო მას. როცა იქნება, ხომ დაიხოცებიან ის ზემოჩამოთვლილი მგალობლები და ჩაიტანენ სამარეში აუარებელ, მშვენიერ ძლის-პირებს. არა მარტო სამღვდელოების, არამედ მთელის საზოგადოების ვალია, რომ ეს ბრწყინვალე საგალობლები გაუკვდავდეს და გადავიდეს ნოტებზე, ისე როგორც წირვის წესები.

ბ—ნ ქორიძის დამსახურება ზემორე აღნიშნულის მოქმედებით არ თავდება. მას აქვს ოც-და-ათამდე ნოტებზე გადაღებული საერო სიმღერა, ძველი და ახალი. ესენიც ისე დაკვირვებით არიან გადაღებულნი, რომ ხალხური ჰანგი და სამუსიკო ესთეტიკა საამურად ერთმანერთს შესტკობიან «ყურთასმენის დასანახად».

ერთის სიტყვით ქორიძემ ჩადგა საძირკველი ეროვნულის მუსიკისა ჩვენში, ნიადაგი შეამუშავა და ცოტაოდენი თესლიც ჩაყარა. აწ თუ ვინმე ახალგაზრდები საქმეს განაგრძობენ და გაავარჯიშებენ, იმათ ისეთი ეკლიანი არ დახვდებათ წინ, როგორიც აუცილებელია პირველის მესვეურისათვის.

ჩვენ არაფრად ვაგდებთ ჩვენს საერო ხმებს, რათგან გვეჩვენება არა გვაქვს განვითარებული. მაგრამ უცხო კაცს, რომელსაც გულდასმით მოუსმენია ჩვენი ეკლესიური გალობა და დანოტილი საერო სიმღერები, დღეს ალტაცებაში და განცვიფრებაში მოსულა და უთქვამს შემდეგი: «ჩვენთვის, ევროპიელებისათვის მეტის მეტად სანუკვარია ეგ თქვენი ჰანგები. ჩვენი მუსიკა, მართალია, მაღალ ხარისხზე დგას, მაგრამ რაა?—ფრანგული გერმანულს ჰგავს, გერმანული იტალიურს, იტალიური ინგლისურს და სხ. სხვაობა დღეს მხოლოდ კომპოზიტორის თვისებაშია, ინდივიდუალობაში. თქვენი კი არც ერთ ჩვენსას არ ჰგავს, ცალკე დგას, უებარია, მაღალ—სადღესასწაულო. მამაცური, მხიარული, მკვნესარი... ნუ თუ თქვენ ამას არ ფასობთ!.. მოვა დრო, როცა ევროპიელი კომპოზიტორები მოვლენ, გადიღებენ—წაიღებენ და თავიანთს კომპოზიტორებში ჩაახაჭაპურებენ. მაშინ კი ვეღარ იტყვით: ეს ჩვენია»...

მოვლენო... მაგრამ იმას კი ვეღარ ნახვენ, რაც დღეს იპოვება.

X. X.

## წერილი რედაქციისადმი.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ ამ მცირე წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გამოცემაში.

ეს საუკუნე, როგორც მოგეხსენებათ, შურის და მტერობის საუკუნე არის, მაგრამ ზოგიერთების მტრობა-შურიანობას კი საზღვარი არა აქვს. ესეთი ვაჟბატონები ძირს უთხრიან ყოველ კეთილ საქმეს და, როგორც მტერნი საზოგადოებისა, ხელს უშლიან და წინ ეღობებიან საზოგადო მოღვაწეებს. რომ ჩემი ნათქვამი უბრალო სიტყვის სროლათ არავინ მიიღოს, აქვე მოვიყვან ერთ შემთხვევას, რომელიც ცხადად ამტკიცებს ზემოდ მოყვანილი სიტყვების სინამდვილეს.

ამა მდგომარე წლის „მწყემსი“-ს 6—7 №-ბში ჩემი წერილი იყო დაბეჭდილი. ამ წერილში ლორეშის სამრევლო სკოლის შესახებ მქონდა ლაპარაკი და ამასთანავე ვამბობდი, რომ სოფ. ლორეშაში იშვიათად შეხვდებით წერა-კითხვის მცოდნე კაცს და რიგიანი ნასწავლი კაცი კი ხომ სულ არ მოიძებნება-თქო. მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ ჭეშმარიტებას ვინმე საწყენად მიიღებდა და, ჩემზედ განრისხებული ხმალ-კაპარჭით აღიჭურვებოდა, მაგრამ მოვსტყუვდი! შურითა და მტერობით დაბრმავებულ გონებას თეთრი შავად ეჩვენება თურმე და შავი თეთრად: ვამოჩნდა ერთი ვინმე, რომელმაც ჩემი წერილი ღვთის რისხვად მიიღო და მთელ სოფელს შეაგონა, ვითომც იმ წერილში მე საზოგადოება გამელანძღოს. ამნაირად ამ კაცმა ერთხანად მთელი სოფელი მომამდურა, მაგრამ ყველა მალე დარწმუნდა, რომ ჩემ წერილში არავითარი ლანძღვა არ იყო და X—საც სულ სხვა რაღაცა აწიწმატებდა. რადგან X—მა წააგო და მისი შეგონებით სოფელი არა თუ მე, პირიქით, იმას დაემდურა მოტყუებისა და ცილის წამებისათვის, ადგა და ესეთი მუქარა მომწერა: «აბა, მე მიყურე გაზეთებში ლანძღვა-გინება; აბა, ვნახოთ, თუ შენი სკოლა, როგორც დიდად მავნებელი საეროო სკოლისა, სამოსწავლო ოლქის მზრუნველს არ დაეხურეინო და შენც კარგი შექამანდი არ შევიკაზმო მთავრობასთან!». გაზეთებში ლანძღვა-გინებისა რა მოგახსენოთ, (თუმცა, X—ის ფიქრით, მოდექი და ლანძღე გაზეთებში მტყუანი და მართალი!) და კერძო პირებთან კი ეს პატივცემული გვამი მუდამ იმასა სცდილობს, რომ მე რაიმე ცილი დამწამოს და მით საზოგადოებაში სახელი გამიტეხოს. ამიტომ ურიგო არ იქმნება, ყველამ იცოდეს—რამ ააპილპილა X—სი? მოგახსენებთ: იმ ხანად, როცა მე ლორეშის სამრევლო სკოლაში ვეპირებოდი მასწავლებლად განწესებას, X—ს ქუთაისში ენახა ვიღაც მასწავლებლობის მაძებარი, მოეყვანა მღვ. კურტანიძესთან და ეთქვა—ეს კაცი დავაყენოთ თქვენი სკოლის მასწავლებლადო. მღვდელს რაღაც მიზეზისა გამო უარი ეთქვა და ეს ძლიერ სწყენოდა X—ს, რადგან, როგორც ამბობენ, (ღმერთო, ნუ მიწყენ! იქმნება ტყუილი იყოს) სამასწავლებლო პირი, «საშრომლად» ხუთ თუმან ფულსა და შვილის უფასყიდლოდ სწავლებას ჰპირდებოდა თურმე. წყენასთან ესეც ეთქვა მღვდლისათვის, რომ, სანამ ცოცხალი ვარ, ლორეშაში სკოლა არ იქმნებაო. არ გასულა 2 თთვე და ლორეშაში, ღვთის შეწევნით, სკოლა გაიხსნა და მასწავლებლად მე დავინიშნე. წარმოიდგინეთ, როგორ გუნებაზე დადგებოდა უზომოდ თავმოყვარე X—სი. ეს ერთი. მეორე, ჩემგან „მწყემსში“ დაწერილი სიტყვები: „და რიგიანად ნასწავლი კაცი კი ხომ სულ არ მოიძებნება“ X—ს არაფრად ეპიტნავა, რადგან თავი უმაღლეს წერტილამდის განათლებულ კაცად მიაჩნია. ვითომ და როგორ გაბედა ეს, განა მე რიგიანი ნასწავლი არ ვარო? მე კი, თუნდ ჯიუტობაში ჩამომართვით, X—სი დღესაც არ მიმაჩნია რიგიან ნასწავლ კაცად. ეს გახლავსთ X—თან ჩემი დანაშაული, ამაზედ განწიწმატებულა და არარასფერს საშუალებას არ ზოგავს, ოღონდ მე კი მავნოს რითიმე. ამ შემთხვევაში მე მანუგეშებენ წმ. დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: «შურმან შეიპყრას ერი უსწავლელი» და «ღმერთსა ვესავ, არა შემეშინოს, რა მიყოს მე კაცმან მარადღე ბრძოლითა»?..

დორეშის სკოლის მასწავლებელი სიმონ
ჭუმბურიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საისტორიო მასალა.

# გუჯრები

(გაგრძელება*).

### რუსთავი.

1809 [1]) ნებითა და შეწევნითა ღვთისა ესე ამიერიდგან უკუნისამდე და საბოლოოთ გასათავებელი უხერხო და უმიზეზო წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე მე ბატონმა შენმა აბაშიძემ გიორგიმ შენ ჩემს ერდგულს ყმას მიქილა ბუაძეს და შენს ძმას სვიმონას ასე: შინა მყავდა და ჩემი კაცი სვიმონიკ ქიმაძის ქალი შეგრთევ ცოლათ და შენც და იმ შენმა მოყვარემაც პირობის წიგნი მთხოვეთ და ასე წიგნი და პირობა მომიცია როცა მოსახლობა შეიძლო და დაეესახლო შენ ჩემგან არც ნასყიდაობა გეთქვას არც ლორი და არც ქვრივი და ობოლი არც საკვერავი ჩვემგან დაგედვას გეთხოვოს თუ თქვენ ჩემი ერთგული და სამსახურის მორჩილი იქნე არც ჩემგან და არც ჩემი შვილი და მომავლისაგან არც თქვენ და არც თქვენს შვილსა და მომავალს არ მოეშალოს ვინც და რამაც ძემან კაცისამან ეს ჩვენი მოცემული წიგნი შეგიშალოს ისიმც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისაგან მასამც რისხამს მამა ძე და სული წმიდანი ზეციერი და ქვეყნიერი არის ამისი გამრიგე და მოწამე მღვდელი და ივანე, პეტრე და ქიმაძე ივანე და გოგია ქუცურაძე მე აბაშიძე თეიმურაზს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი აღიწერა ქანვარს (აქეთ ჩკთ + +)

---

### თარის მონასტერი.

1786 წ. ქ. ბატონის შვილის იულონიის მაჩაბელო ამილახვარო კეთილ სასლოვანო ლუარსაბ, მერე ამის ყოვლად სამღვდელოების თირიის მონასტრის ყმანი აზარია მისის უმაღლესობისაგან და მისის უწმიდესობისაგან და როგორც იმათი ოქმში უცხადებს, რაც მონასტრის ყმანი არიან, იმათ დიდულობა აქვს უკლებლად უნდა გამოურთვა და მოსცე გასყიდული მამულები არის იქვერიაც უჭირავს იმის ლალა და კულუხიც უკლებლად უნდა გამოურთვა და ეკკლესიისათვის მოაბარო, როგორც ბატონის ოქმები და განაჩენი უცხადებდეს. თიბათვის ქვ ქორონიკონს უპდ.

რაც მონასტრის შეწირულება არის იმისი ლალა უნდა უკლებლად აართვა და მოაბარო.

---

### თირის მონასტრისა.

1799 წ. ქ. მეფის ძე იოანე გიბძანებთ, რომელნიც თირის მონასტრის ყმანი ხართ: მერმეთ თქვენ ხომ ყოვლად სამღვდელოს მროველს აშარი ხართ და რომელიც თქვენგან წესებული სამსახური არის იმას კი არას ემსახურებით სადმე ეს დიდათ უმართებელი არის რომელიც თქვენ დეპულება გაქვს სამსახურის უკლებლად უნდა ემსახურეთ, თორემ ისაულით დაგიპყრობით და ეს უფრო ურიგო იქნება და სჯობს აღარ შეაწუხოთ და ემსახურნეთ შეძლებით და რიგიანად თორემ გადაგხდებათ, იცოდეთ. მაისის (იზ) ქორონიკონს უპზ.

---

### თირისა.

1796 ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს მათს მონას ზიბიაშვილს გაბრიელს მერმე ამას მოვახსენებო.

მე და ევემია შვილი ღვიმელი მამუკა ვენახზედ შეჩიოდით და მე მებოძა სამართლით იმისი ხელწერილით მოგართვით წინამძღვრის დაწერილი, ახლა კიდევ ის ჩამოსულა, მე აქ არა გახლდი თქვენს სამსახურზედ გახლდი, ოქმი გიბოძებიათ გალახა (გლახა?) დავითაშვილზედ, ახლა რისიც გირაო იყო, ის ჩემი ვენახი იმას ვაძლევ და არ მაძლევს, გევედრები ლუარსაბ მაჩაბელზედ ერთი ოქმი მებოძოს, რომ იმან მოგვარიგოს უწინაც არ გახლდათ იასაული ნიადაგ თქვენის თავის წყენა არ შემიძლიან მაისის ივ ქორონიკონს უპდ.

მაჩაბელო მალახვარო ლუარსაბ მერე ამ არზით ზოზიაშვილს გაბრიელს ასე რომ მოუხსენებია ესე

---

*) იხ. «მწყემსი» № 21.

შენიშვნა. [1]) რუსულად აწერია «руставели». საყურადღებოა ტოპონიმიის შესასწავლად.

და ამის მეღავე შენ გაარიგე სამართლიანის საქმით და თუ შენ ვერ გაარიგო, ორივე ჩვენს სამართალში გამოგზავნე და ჩვენ მოვარიგებთ მაისის ႨႧ ქორონიკონს უჲდ. [1])

---

### ბოლნის.

1779 წ. ქ. [2]) საქართველოს კათოლიკოზ პატრიარქის მეფის ძის ანტონის იმედო ვინცა ვინ ბატონის მოხელენი იყვნ და ან ბოლნი საყდრის ყმანი იყნეთ მღვდელნი ქართველნი გამსჯელნი თუ მათნი მკვიდრნი და ან მოსულნი იყვნეთ, როგორათაც მეფის ვახტანგის დროსა და ან ჯუმათლის ბოვნელის დროს ბოვნელის ხელში ყოფილიყოს და ან საყდარს სჭეროდეს ისინი არც ერთი არ მოიშლება ბიძა ჩვენმა მეფეთ მეფემ თეიმურაზ და ჩვენცა ყოვლად სამღვდელოს მთავარეპისკოპოზს ტიმოთეს უბოძეთ და დაუმტკიცეთ თქვენც ბატონი მოხელემა დაანებეთ და საყდრის ყმათაც ბატონყმობით მოუდე ქით და მსახურით და რომელიც ჯუმათლის ბოვნელს უკანა მამული ან გასყიდულა და ან გაცემულა ქამთავითარებისაგან ოსმალსა და ყიზილბაშობის დროსა, იმისი ღალა და კულუხი ყველა საყდარსა და ბატონს ბოვნელს უნდა მიერთვას თუ ასე არ დაემორჩილებით ხორციელად მეფეს გაგიწყრომებთ და სულიერად ჩვენ გადაგახდევინებ ივლისის გ ჩღჵთ

(კათოლიკოზ ტიმოთე.)

---

### კაწარის წმ. სამების.

1765 ქ. ჩვენ Ⴈრაკლი მეორემან მეფემან ქართლისა კახეთისა და ყოვლისა საქართველოჲსამან და ძმამან ჩვენმან ანტონი პატრიარქმან ყოვლისა საქართველოსამან. ბანვსაჯეთ წმიდის სამების კაწარის ეპარხია, რომ ერთის ეპისკოპოსისათვის სარჩოდ საკმაო არარც სამწყსო და ალარც ყმა და მამული იყო: ამისთვის ვბრძანეთ რომ წმიდის სამების ეკლესიის სამწყსო ყმა თუ მამული სადაც იყოს რუსთველისა და ნინო წმიდის ეკლესიას გაეყოს დრომდის და ან რაც თვითან სამებლებ რამ გაეკეთებინოსთ ეკლესიისათვის და შეეწიროსთ, და ან სხვას ვისმე რამე და ან სამების ეკკლესიის სახელზედ შენაწირი სადმე რამ იყოს და სამებელს დარჩომოდეს ესენი ყველა. ყოვლად სამღვდელომ რუსთველმა დომენტიმ და ნინო წმიდამა საბამ. ორ წილად გაიყონ თავისის ნებისაებრ და მასუკან მოგვაკსენონ. დაიწერა: ჩღჲე წელსა თთვესა აგვისტოს: ႩႧ დღესა. კათოლიკოსი ანტონი (Ⴈრაკლი მეფის ბეჭედი).

ქ. ჩვენ ორისავე საქართველოს უფლისწული ბატონის შვილი გიორგი ამ ბატონის მეფის მამის ჩვენისა და ბატონის ბიძის ჩვენის პატრიარქის ბრძანებას ვამტკაცებთ მარტის ლ ქორონიკონს უნდ (ბეჭედი გიორგი ბატონის შვილისა).

ქ. ჩვენ ბატონის შვილი ლევან ამ ბატონის მეფის მამის ჩვენის და ბატონის ბიძის ჩვენის პატრიარქის ბრძანებას ვამტკიცებთ მარტის ლ ქორონიკონს. უნდ. (ბეჭედი მეფის ძის ლეონისა).

---

### სამთავისისა.

მე-XVII საუკ. წყალობითა მღვთისათა კათალიკოზი ქართლისა ამილახვარის მე ნიკოლაოზ, დავსდებთ საუკუნოდ მოხსენებასა ნეტართა და ღვთისა მსახურთა მეფეთასა, რომელთაცა ინებეს შეწირვად ეკკლესიისა სამთავისისა ხატის ღვთაებისათვის და მაზედა მჯდომარისა ზოსიმე სამთავნელისა ნეტარმან მეფემან გიორგი, მამამან ალექსანდრე მეფისამან, [1]) უსიტყვი სოფელი მამული დიდი ნაქონი დიმიტრი ბაგრატიონისა, რომლისა სახელი იყავნ კურთხეულ; ხოლო შეუდგა ალექსანდრე კეთილსა კვალსა მამისა თავისისა გიორგი მეფისასა, მეფემან ალექსანდრემ და შექმნა ჯვარი დროშად წინამძღვარი ცხოვრებისა და

---

შენიშვნა. [1]) უმაღლეს ინსტანციაზ სასამართლოში თვით მეფე და მეფის შვილები იყვნენ რჩევისას დასავლით მარს დჯანის წყალი. ეს გამოსდის თირის მონასტრიდამ წარსულის მთას, დის ჩრდილოდამ სამხრით ერთვის მტკვარს ჩრდილოდამ (გეოგ. ვახუშტისა, გვ. 260).

შენიშვნა. [2]) დ: ფურცელაძეს მოჰყავს ამ გუჯრის შინაარსი. ვახუშტი ბოლნისის ქართლის აღწერაში უხსენებს («გეოგრაფია», 144).

[1]) გიორგი მე-VIII († 1469) და ძე მისი ალექსანდრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამმართებელი მეფობისა, თვისისა პატივად და წინამძღლოდ დიდისა მღვდელმთავრისა დროშად სამთავისის ეპისკოპოზისა, ამანვე მიუძღვნა კანდელაკი იოელ აზნაური და სახასო თავისი სოფელი დიდი ნადარბაზევი, და ყოვლითურთ ათავისუფლნა მაშინა მკვიდრნი ხარკისა და ყოვლისა სათხოვრისაგან; ხოლო ამანვე მიუძღვნა ხუთასი კირმანეული წელიწადის დასრულებასა შინა, ზოსიმე მღვდელ-მთავარსა სალოცველად მეფობისა თვისისა და საოხად სულთა, ხოლო მსასოებელი წარმოემართის რა ქართლად ანუ აღმოსლვითა გინა დასლვით ფერხ შიშველი ჩავლის აღმოსლვის თაყვანის მცემელი ეკკლესიისა, ხატისა მღვთაებისა, აქვნდა სასოება პატივისცემა დიდისა მღვდელ-მთავრისა სამთავნელის ზოსიმესი; ჰყვარობდა კეთილსა ქცეულობასა და პატივისცემასა ეკლესიათასა, მეფე გიორგი, რომელმაცა მიართვა ძღვნად წმიდასა მამასა შიოს სასოსა თვისსა დიდითა გუჯრითა სახასო სოფელ ოკამი, მეშველაანი დიდნი გლეხნი დიდისა მქონებელნი მამულისანი, მოხელენი და მოღვაწენი და შემწენი დიდისა მონასტრისა მღვიმისანი გვევედრებით წმინდანო მღვდელ-მთავარნო და წინამძღვარნო მეფეთა ამათ კურთხევით მოიხსენებდეთ, და გლეხთაცა ამათ პატივით შეიტკბობდეთ ერთგულობისათვის და მოხელეობისათა;—

წარვწერე ხელითა ჩემითა კათალიკოზი ნიკოლაოზ.

---

ჭეშმარიტის პირიდამ თვით საკუთარის ნიკოლაოზ კათალიკოზის ამილახორის ძის ხელით დაწერილის გუჯრის პირიდამ გადმოვწერე რომელიცა სწერია წმინდის შიოს მღვიმის მონასტრის გულსა შინა ოც-და ცხრას ივნისს პეტრე პავლეს სურათი ზურგზედ არცარა მომიმატებია და არცარა მომიკლია უფალმან უწყის; წმიდის შიოს მღვიმის მონასტრის არხიმანდრიტი და წინამძღვარი ნიკიფორე.

---

ამისი ასლი ჭეშმარიტი პირი ვნახე თვით კათოლიკოსის ნიკოლოზის დაწერილი შევამოწმე და უმეტ ნაკლოდ ორი აღმოწერილი ჭეშმარიტი არის იკორთის არხიმანდრიტი გამალიელ.

---

ჭეშმარიტია ეს ზემო აღმოწერილი თვით ჩემის თვალით ვნახე კათალიკოსის ხელით დაწერილი უმეტ ნაკლო არის ამ მონასტრის ბერი მღვდელ-მონაზონი გრიგოლ.

---

მე იოელ მღვდელ-მონაზონი ვაწერ როგორც ზემოთ არქიმანდრიტი გამალიელ და მამა გრიგოლ აგრეთვე იოელ.

მე თვით თვალითა ჩემითა ვიხილე ჭეშმარიტად კათოლიკოსის ხელით ნაწერი უმეტ ნაკლებო არის ამა მონასტრის ბერი მღვდელ-მონაზონი ათანასი ამილახვარის ძე.

შენიშვნა. ეს გუჯარი უთარიღოა. აქ ხსენებული კათოლიკოზი ნიკოლოზ ამილახვრის ძე დაჯდა კათოლიკოზად შემდეგ დომენტისა (+ 1675). გიორგ თერთმეტის მეფობაში. («ქართ. ცხოვ. გვ. 56). პლ. იოსელიანს არ ჰყავს მოხსენებული ეს კათოლიკოზი თავის თხუზულებაში «Древности Тифлиса. დ. ფურცელაძეს ეს გუჯარი არ დაუბეჭდია. შესანიშნავია აქ ერთი და იმავე გუჯრის შემოწმება სხვა-და-სხვა პირთა ხელ-მოწერით.

---

## ახალი ამბები და შენიშვნები.

მომავალი წლის მარტის თვიდამ თფილისში დაიწყებენ გამოცემას სასულიერო ოფიციალური ჟურნალისას, რომელსაც სახელად ერქმევა „სასულიერო მახარებელი საქართველოის საექსარხოსოისა». როგორც ნამდვილად გადმოგვცეს ჩვენ, ამ ჟურნალს ექნება ოფიციალური ხასიათი. გაზეთი გამოვა ორ კვირაში ერთხელ 2-3 საბეჭდავი ქაღალდის ფურცელზედ. ჟურნალი გამოიცემა რუსულ ენაზედ და ბოლო ფურცლებზე ზოგიერთი საინტერესო რუსულ ენაზედ დაბეჭდილი სტატიები ქართულად იქმნებიან გადათარგმნილი. ეს ჟურნალი არსდება საქართველოის ექსარხოსის მთავარ-ეპისკოპოსის პალლადის თაოსნობით. ამ ჟურნალის დაარსებაზედ მსჯელობა ჰქონდა 1888 წელში, 19 თებერვალს ქართლის სამღვდელოების დეპუტატებს ერთს თავის კრებაზე. ამ კრების ჟურნალი ჩვენს გამოცემაში დაიბეჭდა იმავე წელში. *) ხსე-

*) იხ. «Пастырь» № 5. 1888 წ.

ნებული ჟურნალის პროგრამმა არ იბეჭდება, რადგან ჯერ არ მიუღიათ უწმიდესი სინოდისაგან დამტკიცებული.

*
* *

სოფელს კიცხში, (შორაპ. მაზრაშია) ნოემბრის 24 რიცხვს გაიხსნა სამრევლო სკოლა. სკოლა გახსნა თავის საკუთარს სახლში და თავის საკუთარის ხარჯით მღვდელმა მ. გიორგი ანთაძემ. სკოლის გახსნისათანავე დაიწყეს ყმაწვილებმა მიღება. დღემდე მიღებულია სამოცამდე და კიდევ ბევრნი არიან მსურველნი სკოლაში შესვლისა, თუ ადგილი იქმნა. ამ სკოლის გახსნის შესახებ დაწვრილებით ამბავს შემდეგ №-ში დავბეჭდავთ.

* *
*

ბორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ ყოფილი ბ. გ. საძაგელოვი უწმ. სინოდისაგან დანიშნულ იქმნა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად.

*
* *

სამეგრელოდამ გვწერენ: «მთელს სამეგრელოში დღემდის არ მოიძებნება ქართული წიგნთ-საცავი, საიდგანაც მკითხველმა შეიძლოს წიგნის ყიდვა. დღეს ამ საქმის დაგვირგვინება მიიღო თავის თავზე ბ. ნოდიამ, რომელიც უკვე შეუდგა ფულების მოკრებას, რომ ამ ფულებით დაარსოს ქართული წიგნთ-საცავი სადმე სამეგრელოის შუა ადგილს. ასეთი წიგნთ-საცავი დიდ შემწეობას აღმოუჩენს მათ, რომელთაც ჰსურთ ქართული წიგნების მოპოება და წაკითხვა. ქართული წიგნთ-საცავის დაარსება სამეგრელოში მით უფრო სასიამოვნოა, რომ დღეს ჩვენში «აშორდიების» მეოხებით ქართული წიგნების ხმარება, თითქმის, იდევნება. ჩვენს ბავშვებს აქაურს სკოლებში ნაცვლად «დედაენისა» რაღაც მეგრულს ენაზე შედგენილს ზღაპრებს აჩეჩებენ ხელში და მით ხელს უშლიან ქართული ენის შესწავლას. იმედია, რომ ყოველი კეთილ-სინიდისიერი მეგრული შესაფერს დახმარებას და შემწეობას აღმოუჩენს ბ. ნოდიას ამ კეთილ და სასარგებლო საქმეში».

*
* *

ამას წინედ საეკკლესიო „უწყებიდგან“ ჩვენ გადმოვბეჭდეთ ჩვენი გამოცემის მე-19 №—ში ერთი ცნობა, რომ უწმ. სინ. ობერ-პროკურორს პოლტავის გუბერნიაში მოგზაურობის დროს სხვა და სხვა საეკკლესიო შესანიშნავ ნაშთთა შორის უჩვენეს ძლიერ ძველი ქართული ხელთ-ნაწერი სახარებაო“. ამ სახარების შესახებ აი რას გვწერს ეხლა პოლტავის სემინარიის მოწაფე გაფრინდაშვილი: «პოლტავის გუბერნიის ჯვართ-ამაღლების მონასტრის წიგნთ-საცავში არის ქართული სახარება, არა ხელთნაწერი, არამედ ნაბეჭდი. იგი დაბეჭდილია თბილისში 1709 წელში პირველად დაარსებულს სტამბაში. სახარება დაბეჭდილია კარგს ქაღალდზედ და სუფთად არის დაცული წითელს ხავერდის ყდაში. ამ სახარებაზე სხვა არავითარიმე წარწერა და შენიშვნა არ მოიპოება. აქ არავინ უწყას, თუ როგორ გაჩნდა ეს ქართული სახარება ხსენებულს მონასტერში. ეს სახარება გადმომცა მე აქაური სემინარიის ერთმა პროფესორმა, რომ გადამეთარგმნა რუსულად ყველა შენიშვნები, რაც კი მასში მოიპოვებოდა. ბოლოს, როცა გაიგო პროფესორმა, რომ ეს სახარება დაბეჭდილია 1709 წელში, გაკვირვებით მითხრა: „ჩვენ ეგ ძველი რამ შესანიშნავი ხელთ-ნაწერი გვეგონაო“.

*
* *

ძულუხის წმიდის გიორგის ეკკლესიის მღვდელი და სამრევლო გულითად მადლობას უძღვნიან ქუთაისში დროებით მცხოვრებს ლეიტენანტს გერასიმეს მეს ხელამეს, რომელსაც შეუწირავს ზემოდ აღნიშნული ეკკლესიისათვის ერთი წყვილი ბაირაღი, ღირებული 35 მანეთად

# სიტყვა,

თქმული ახლად მოწვეულ ქართველ ჯარის კაცთადმი ფიცის მიღების შემდეგ, 21 ოქტომბერს, 1890 წ. გორის სობოროს მღვდლის იოელ გამრეკელის მიერ.

ახალგაზრდა ჯარის კაცნო!

აი ეს მესამე წელიწადია, რაც საქართველოში შემოღებულ იქმნა მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ჯარის კაცთა მოკრება გვარტომობისა და ხარისხწოდების განურჩევლად. მაშასადამე თქვენც, ძმებო, დღეს კენჭის ყრით შეგხვდათ რიგი და მოვალენი გახდით იმსახუროთ სამხედრო სამსახურში, რომელიც გაგრძელდება არა უმეტეს სამის წლისა.

დღეიდგან თქვენ უნდა გახსოვდეთ და მარად თვალ წინ წარმოდგენილი გქონდეთ ის აზრი, რომ მსახურებთ სამხედრო სასახურში დასაცველად სარწმუნოებისა, ხელმწიფისა და სამშობლოისა; თითოეული თქვენგანი მოვალეა ესეები აღასრულოს. სინიდისი და პატიოსნებაც ითხოვს, რომ ყოველმა კაცმა თავისი თავი თვით დაიცვას მტრისაგან, აღასრულოს ის, რაც უეჭველად ეთხოვება მას.

დღეიდგან თქვენ უნდა შეისწავლოთ ის წესები, კანონები, რაც საჭიროა სამხედრო სამსახურისათვის: უნდა აღასრულოთ ყოველივე ის, რასაც თქვენი უფროსები და მთავრობა გიბრძანებთ. უწინარეს ყოვლისა გახსოვდეთ ღმერთი, მასზედ დაამყარეთ სასოება და იმედი, ყოველივე საქმე ლოცვით უნდა იწყოთ და ლოცვითვე დაამთავროთ. ვალდებულნი ხართ შეიყვაროთ მთავრობა, თქვენი უფროსები, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენი ამხანაგები არა ნაკლებ უნდა გიყვარდეთ, ერთი ერთმანერთს ემსახუროთ, შემწეობა გაუწიოთ. ის დიდად სცოდავს, რომელსაც ყოველივე საქმეში თავისი ამხანაგი, თავისი მახლობელი სძულს, რომელიც ცილსა სწამებს, ან ტუქსავს იმას. ყველა ამაებს განშორებულნი უნდა იყვნეთ. თუ რომ ძმურად იცხოვრებთ, ღმერთიც შეგიყვარებთ და მოგცემთ ძალას, რათა ღირსეულად და ადვილად შეასრულოთ თქვენი მოვალეობა; გახსოვდეთ, რომ მეფის სამსახური — ღვთის სამსახურია; უნდა მუდამ ევედროთ უფალს, რომ მან განგამტკიცოთ თქვენ მეფისა და მამულის სამსახურში; რაც უფრო მუყაითად მოეკიდებით თქვენს საქმეს, მით უფრო შეუნიშნავად შეასრულებთ სამსახურის ვალას. გახსოვდეთ, რომ მეცადინე კაცისათვის ყოველივე საადვილოა, ზარმაცისათვის კი სამძიმო და მოსაწყენი.

გარდა იმისა, რომ მოვალენი გახდით სამხედრო სამსახური შეასრულოთ, ამასთან ვე წესისა და სჯულისამებრ ფიციც მიიღეთ წინაშე ღვთისა და აღთქმა დასდევით, რომ მხნედ, მამაცად და ერთგულად უნდა იყვნეთ სამსახურის დროს; რომ უკანასკნელს სისხლის წვეთამდე სიცოცხლეს არ უნდა ზოგავდეთ სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის. ამიტომაც შიშს და განსაცდელს არ უნდა მოერიდნეთ; ყოველივე უნდა იტვირთოთ, არა თუ მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს, მაშინაც კი, როდესაც მოსისხლე მტერი თავს დაგესხმით, არც ერთს ნაბიჯს არ უნდა გასცილდეთ და ისრე უნდა მოიქცეთ, როგორათაც თქვენი მეუფროსეები გიბრძანებენ.

თქვენც უნდა მიჰბაძოთ ვაჟკაცურს გამბედაობასა და თავგანწირვაში ჩვენ წინაპართა, რომელნიც თავს არ იზოგავდენ სარწმუნოებისა და მამულის დაცვისათვის. ამასთან თქვენ ვალდებულნი ხართ ბეჯითად შეისწავლოთ წესები და კანონები აწინდელის სამხედრო სამსახურისა, შეასრულოთ უფროსების ბრძანება, მტკიცედ იყვნეთ სამსახურის დროს, მარად ღმერთი უნდა გახსოვდეთ და იგი გაგამხნევებთ, მოგცემთ შემწეობას და ძალას მეფისა და მამულის სამსახურში. ყოველი თქვენგანი, რომელიც არ აღასრულებს ბრძანებას უფროსებისას, ვინც უღალატებს და გულგრილად მოექცევა კანონებს, რომელთა აღსრულებაში მოყვანა თქვენზედაა დამყარებული, ეხლანდელის დროის კანონით მძიმედ დაისჯება და ზოგნიც ამის გამო სიკვდილს მიეცემიან; ის პირნი კი, რომელნიც აღასრულებენ სინიდისიერად და პატიოსნურად, მორჩილებასა და ერთგულებაში გაატარებენ სამსახურსა, დაჯილდოებულ იქმნებიან ხელმწიფის წყალობით. იგი, ვინც სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის მტერს თავს შეაკლავს, მომავალ საუკუნო ცხოვრებაში მიიღებს მოწამებრივს გვირგვინს.

უფალი ღმერთი იყოს შემწე, მხსნელი და მფარველი თქვენი ყოველთვის, ყოველგან და ყოველს დროს, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კოხისაგან ახალი გამოგონილი წამლობა ჭლექისა.

მეცნიერებამ მოიგონა ყვავილის უებარი წამალი, მოიგონა აცრა და მით დიდი ღვაწლი დასდო კაცობრიობას. ამ რამდენისამე წლის წინად კიდევ მეცნიერებამ სძლია ისეთს საშინელს სენს, რომელსაც ცოფი ჰქვიან და ახლა გაზეთებს მოაქვს ამბავი, რომ ერთმა ბერლინელმა მკურნალმა, სახელდობრ **რობერტ კოხმა** აქამდე უკურნებელის ჭლექის წამალი მოიგონაო.

ყვავილი მუსრს ადენდა ხალხს ევროპაში. ამ ასის წლის წინად წელიწადში ერთი მეათედი იხოცებოდა ყვავილითა და ერთს მეათედს კიდევ საშინლად ამახინჯებდა და სამუდამოდ ასახიჩრებდა. გამოვიდა მეცნიერი **ჯენნერი**, მოიგონა აცრა ყვავილისა, ანუ ყვავილის ჩირქის შემწეობით წინდაწინვე მიჩვევა ადამიანის აგებულობისა ყვავილის ასატანად და ყვავილი დაძლეულ იქმნა; მისი ცელი დღეს ეგრე ვეღარავის მუსრავს, მისი კლანჭები ვეღარავის ახიჩრებს. ყვავილით დახოცილნი და დამახინჯებულნი ძალიან მცირედ არიან იქ, სადაც სავალდებულოა ყმაწვილებისათვის ყვავილის აცრა. პასტერმა კიდევ უფრო მეტად გააკვირვა ქვეყნიერობა და **ჯენნერზე** ნაკლები ღვაწლი არ დასდო კაცობრიობას. ცოფით სიკვდილი ადამიანისა ეხლა ძალიან იშვიათი-ღაა, მეტადრე იქ, სადაც დაარსებულია საბაქტერიოლოგიო სადგურნი და სადაც პასტერის წესით არჩენენ დაცოფილებს.

ყვავილსა და ცოფს გარდა საზარელი და საშინელი მტერი კაცობრიობისა იყო და არის ჭლექი, რომელიც დიდძალს ხალხსა ჰხოცავს ყოველ წლივ ქვეყნიერობაზე. და აი დღეს გამოვიდა მკურნალი **კოხი** და ამბობს, ჭლექის წამალი ვიპოვნეო.

**კოხის** სახელს წინადაც გაიგონებდნენ მკითხველები, ამ ხუთი ექვსი წლის წინად, როცა ევროპაში მცირედ იჩინა თავი ხ ო ლ ე რ ა მ, **კოხი** თავგანწირული იკვლევდა ამ საშინელის სენის ვითარებასა და მის წამლობის ღონეს. აღმოაჩინა კიდეც ის მიკრო-ორგანიზმები, რომელიც აჩენენ, მისის აზრით, ხ ო ლ ე რ ა ს. ვის არ გაეგონება **კოხის** ბაცილების ამბავი, ეს ხ ო ლ ე რ ი ს ბაცილები, ანუ თვალთ უჩინარი ცხოველნი, რომელნიც, როგორც გვაუწყა **კოხმა**, ნიშან მძივსა ჰგვანან თავიანთ აგებულებითა და შეხედულობით. ვინ იცის, რა-კი **კოხმა** მიზეზი იპოვა ხ ო ლ ე რ ი ს ა, იქნება თავის დროზე წამალიც აღმოაჩინოს ამ ბაცილების გასაწყვეტი. ხ ო ლ ე რ ი ს წამლობის მოპოვება ჯერ შეჩერებულია, და ჭ ლ ე ქ ი ს წამლობა-კი უკვე აღმოჩნდა. დღეს **კოხმა** ხუთის წლის გამუდმებულის შრომითა და კვლევით ჭ ლ ე ქ ი ს ბაცილებს მიაგნო, შეიტყო მათი ბუნება, მათი ვითარება და წამალიც მოუპოვებია. არავინ არ იცის ჯერ დაბეჯითებით, რა წამალია ეს წამალი. თვით **კოხიც** არას ამბობს ჯერ-ჯერობით, რა გვარ არის შეზავებული ჩემი წამალიო. **კოხმა** საკმაოდ ვრცელი წერილი დაბეჭდა ერთს გერმანულს სამკურნალო კვირის გაზეთში და უამბო მკითხველებს ყოველივე გარემოება თავის ნამუშავრისა ჭლექის მორჩენისა და წამლობის შესახებ. ამ წერილში **კოხი**, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, დიდის სიფრთხილითა და გულ-დამშვიდებით ლაპარაკობს, ცდილობს, მეტი არა სთქვას-რა და მით გაზვიადებული იმედებით არ გაუღვიძოს საზოგადოებას თავის აღმოჩენილის წამლისა. ჩემი წამალი მიხაკის ფერის წყალ-წყალა წამალიაო, ახალ-ახალი უნდა კეთდებოდეს, რომ არ წახდესო, ავადმყოფს უნდა ტანის კანს ქვეშ პატარა შხაპუნათი — შპრიცით შეეშხაპუნოსო, ძალიან ცოტ-ცოტაო. შესაშხაპუნებელ ადგილადაო, ამბობს **კოხი**, ავირჩიეთ ზურგის კანი, ბეჭის თავებთან, ცოტა წელზემოდაო. შეშხაპუნების შემდეგ, გაივლის ასე 3—4 საათი და ავადმყოფი ჰგრძნობს, რომ მუხლებსა და სახსრებში იშლება, თავი სტკივა, ხან გულიც ერევა, აცივებს და სიცხეს აძლევს 39, 40 და 41 გრადუსამდისაცაო. მერე, როცა ციება გაუვლის, ესე 10—12 საათის შემდეგ ავადმყოფი ჰგრძნობს, რომ ბევრად უკეთ არის, ხველას აწყებინებს და ბლომად ამოაქვს ნახველი. მადაზედაც მოდის, წონაშიაც მატულობს, ფერი მოსდის, თავისუფლად სუნთქავს და ერთ-ორ კვირაზედ სრულიად უკეთ ხდებაო. **კოხი** ამბობს, რომ ჩემი წამალი უფრო ისეთს ავადმყოფობაზედ ვცადე, რომელთაც ტუბერკულოზი გარედამ აქვთ და არა შიგნით, ფილტვებშიო. ამისთანა ავადმყოფებისთვის სწორედ მოსწრებაა ჩემი წამალიო. არამც თუ არჩენს ეს წამალი ასეთს სიწყლულიანებს („Iupus"-ი ჰქვიან ასეთს სიჭლექის სიწყლულს), აღმოაჩენს კიდეც, აქვს თუ არა საზოგადოთ ამა თუ იმ საეჭვო ავადმყოფობის კაცს ტუბერკულოზი. თუ აქვს, მაშინვე ზემოხსენებულ ნიშნებს შევნიშნავთ ავადმყო-

ფვბის წამლის მიღების შემდეგ, ანუ უკეთ ვსთქვათ, წამლის თუნდ ერთხელ შეშხაპუნების შემდეგვე. თუ არა აქვს, არც ერთს ნიშანს არ შეჰნიშნავთ: არც გააციებს ნაწამლს ავადმყოფს, არც მოსწყდება მუხლებსა და სახსრებში, არც გული დაუწყებს რევას. მე თვითონ შევიშხაპუნე ეგ წამალიო, განაგრძობს შემდეგ კოხი, და აღმოჩნდა მცირეოდნად გარეგანი ტუბერკულოზიო. ისე რომ ეს წამალი დიაგნოსტიკისთვის ძალიან გამოსადეგი იქნება და ადვილად გააგებინებს მკურნალს, აქვს თუ არა რომელსამე ავადმყოფს ჭლექიო.

სიჭლექის სიწვილას საკვირველად არჩენს ჩემი წამალი. სიწვილა სივდება, მერე მუწუკდება. ხმება და სცვივა თავისთავად. აღარ არის საჭირო სრულიად ის სახირურგიო ღონის-ძიება, რომელსაც დღემდე ხმარობდნენ ასეთის დამუწუკებულის სიწვილის მოსარჩენად. ხმარობდნენ დანის მსგავს კოვზსა და იმითი ჰფხეკნიდნენ ნასიწვილარს ადგილს. აშკარად არა მოქმედობს ეს წამალი ფილტვებით დაზიანებულებზე. ჯერ ამ მხრით არც საკმაოდ მიცდია ჩემი პრეპარატი. საჭიროა ბევრ-გვარად და მრავალის მაგალითებით კიდევ გამოვცადოთ. მაინც ისკი ადვილად შევამჩნიე, რომ ფილტვებით დაჭლექებულსაც არჩენს რამდენსამე კვირაში, მეტადრე თუ ჭლექი დიდი ხნისა არ არის, ფილტვები ძლიერ არა აქვს ავადმყოფს დაზიანებული, შიგა და შიგ დიდი ფუღუროები არ გასჩენია სენსაო. მკურნალობას არ შეუძლიან კაცს ახალი ფილტვები შესძინოსო, ხოლო თუ ჭლექი დიდის ხნის დაწყებული არ არის, ძლიერ ადვილი მოსარჩენია. ამას კი მაინც ყურადღება უნდა მიაქციონ მკურნალებმა, რომ კარგად გამოიკვლიონ ვითარება თითოეულის ავადმყოფისა, მიიღონ მხედველობაში ხანგრძლივობა სენისა, და ამისდა გვარად იხმარონ წამალი, ბევრი, თუ ცოტა, ეს წამალი არას აკლებს ბაცილებს, მოქმედობს მხოლოდ ჯერ ისევ ცოცხალს და დასნეულებულს ხორცზე, ჰკლავს ამ ხორცს, რომელიც მერე ნახველს ამოსდევს, ხოლო თუ გასჭირდა და არ მოჰშორდა ადამიანის აგებულობას, მაშინ სხვა სამკურნალო ღონის-ძიებანიც უნდა მიიშველოს ექიმმაო.

ამ კოხის წერილმა შესძრა არა თუ მთელი ბერლინი და გერმანია, არამედ მთლად ევროპა და ამერიკა. ის ნომერი გაზეთისა, რომელშიაც დაიბეჭდა კოხის წერილი, 200,000 ცალი გაიყიდა და რამდენსამე დღეს განუწყვეტლივ ჰბეჭდავდნენ კიდევ. მაგრამ მსურველი მისის წაკითხვის მაინც აუარებელი იყო და სტამბა ვერ ასწრობდა ყველას დაკმაყოფილებას. წერილის გამოქვეყნება უფრო ესიამოვნათ, რასაკვირველია, ჭლექით ავადმყოფებს, რომელნიც მრავლად არიან გაფანტულნი თბილ ქვეყნების კურორტებში. ეს ამოდენა ხალხი დაიძრა ყოველ მხრით და გაემგზავრა ბერლინისაკენ. ყოველ დღე ასობითა და ათასობით მიდის ავადმყოფი ხალხი ბერლინში და avsebs იქაურს სასტუმროებს. კოხის ასისტენტებს თავი ვეღარ მოუფხანიათ, იმოდენი ავადმყოფები დაესხათ თავს. წამალი კი ცოტაა შემზადებული ჯერ-ჯერობით. მისი შემზადება კოხს გარდა მხოლოდ ორმა მკურნალმა იცის, სიძემ კოხისამ და ერთმა მისმა თანაშემწემ. ამის გამო ავადმყოფები, რომელთაც თბილ ქვეყნებს თავი დაანებეს, მივიდნენ ცივს ქვეყანაში და ჩაცვივდნენ ასეთს გულის-ხეთქაში, ძალიან უჭირთ საქმე და იქნება იმის გამო ბევრი გამოესალმოს კიდეც წუთი სოფელსა თავიანთისავე ხელსწრაფობის გამოვო, ამბობენ გერმანული გაზეთები.

გამოჩენილი მეცნიერნი მკურნალობისა, მნათობნი და სახელგანთქმულნი პროფესორნი ვენისა, პარიჟისა და ლონდონისა დიდის ქებითა და სიამოვნებით იხსენიებენ კოხსა და მის აღმოჩენილს წამალს, რომლის უებრობა სჯერათ იმიტომ, რომ თვით გზა კვლევისა, რომელსაც ადგა ამ საქმეში კოხი, ნამდვილი და ჭეშმარიტი გზაა და ეს გზა უთუოდ გაამარჯვებინებდა შესანიშნავს მოღვაწეს მეცნიერებისასაო. კოხის აღმოჩენა უდიდესი და უდიდებულესი ძლევა-მოსილებაა მეცნიერებისაო, საკვირველი გამარჯვებაა კაცისაო, უთქვამს ერთს ვენის პროფესორს თავის ლექციაში. სახელოვანს პასტერს კიდევ მეტად გულ-თბილი და თანაგრძნობით აღსავსე დეპეშა მიუწერია პარიჟიდამ კოხისთვის და მიულოცნია ასეთი სასიქადულო გამარჯვება. («Иверия»).

შინაარსი: იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქუთაისში.—მწარე ფიქრები.—ფილიმონ ქორიძის და საეკკლესიო გალობის შესახებ.—წერილი რედაქციისადმი.—სასტუმროთ მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა.—კოხისაგან ახლად გამოგონილი წამლობა ჭლექის.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою Кутаисъ. 29 Ноября 1890 г.
Типографія редакціи (Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.